ა(ა)იპ ქ. ქუთაისის
სპორტულ დაწესებულებათა
გაერთიანება

NNLE **Kutaisi Sport**
Institutions Union

ა(ა)ი.პ. ქ. ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მმართველის

ბრძანება № 33

ქ. ქუთაისი 5 მაისი 2023 წ.

„ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ფილიალის „საცურაო აუზის“ დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 ივნისის N 100 დადგენილების, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა/ წლის 24 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის 29 იანვრის N 108 ბრძანებაში ცვლილების შეტანის, ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 24 აპრილის ბრძანება N ბ44-442311478 წესდების (ახალი რედაქცია) და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. „ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებაში“ გამოცხადდეს ღია კონკურსი „ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ფილიალის „საცურაო აუზის“ დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

2. უზრუნველყოს „ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებამ“ ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება, „ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე /ელ-ფოსტა: sportunion@kutaisi.gov.ge/

3. „ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებაში“ ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარსადგენად განესაზღვროს 10 (ათი) კალენდარული დღე.

4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენა შეუძლია მხოლოდ ელექტრონულად „ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე /ელ-ფოსტა:sportunion@kutaisi.gov.ge/

5. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს „ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ მმართველმა კობა ფხაკაძემ.

6. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქ. N 11 მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში/.

8. ბრძანება გამოქვეყნდეს „ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე /ელ-ფოსტა:sportunion@kutaisi.gov.ge/

ა(ა)იპ-ი ქ. ქუთაისის სპორტულ
დაწესებულებათა გაერთიანების
მმართველი
კობა ფხაკაძე

NNLE KUTAISI SPORT INSTITUTIONN'S UNION
412677269